ნათელი პიროვნება

“ადამიანი მზეა, დაე, ანათოს!”
(სოკრატე)

ჟურნალის რედკოლეგია ულოცავს ბატონ ავთანდილ საყვარელიძეს 75 წლის იუბილეს და უსურვებს ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს

ბევრი ვიფიქრე, რით დამეწყო ბატონ ავთანდილ საყვარელიძის პიროვნებაზე საუბარი, რადგან, მისი ერთნაირად ღირსეული მრავალმხრივობიდან გამომდინარე, ძნელი აღმოჩნდა ამის გაკეთება. მრავალ ეპიტეტთა შორის ჩემს ცნობიერებაში ბუნებრივად ამოტივტივდა სიტყვა-ცნება “ნათელი“.

ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ეს სიტყვა-ცნება ყველაზე ადეკვატურად გამოხატავს მის პიროვნებას. ის ყველაფრით და ყველაფერში ნათელია: გონებით, აზროვნებით, მოქმედებით, ურთიერთობებებითა და დამოკიდებულებებით ადამიანებთან, საქმესთან.

ბატონი ავთანდილის შესახებ ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა მასთან პირველი შეხვედრისთანავე. ეს მოხდა 1980 წელს, როდესაც ის მოვიდა ჩვენს სამსახურში, ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, კოლექტივის გასაცნობად, როგორც ქ. თბილისის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი. მართალია, იმ დროს რაიკომის მდივნებს და, საერთოდ, პარტიულ მუშაკებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ავტორიტეტი ძალიან შელახული, მაგრამ მეცნიერ-მუშაკები მაინც განსხვავებული თვალით უყურებდნენ მათ, ვიდრე ჩვეულებრივი ობივატელი. ამ ფონზე მაშინ ბატონმა ავთანდილმა, ჩემი აზრით, მთელ კოლექტივზე, ჩემზე კი აშკარად, შთამბეჭდავი გავლენა მოახდინა, როგორც განათლებულმა და თავისუფლად მოაზროვნე პიროვნებამ.

მისი გამოსვლა ჩვენი კოლექტივის წინაშე, მესამედი საუკუნის წინ, იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ დღესაც კარგად მახსოვს. ბატონმა ავთანდილმა ძალზე საინტერესოდ ილაპარაკა მეცნიერებაზე, ლიტერატურაზე, ამ სფეროებში მიღწეულ შედეგებსა და ამოცანებზე. მწერლობიდან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ვაჟასა და გალაქტიონის შემოქმედებას. რუსი პოეტებიდან საინტერესოდ ისაუბრა პუშკინსა და ესენინზე. მაღალი შეფასება მისცა ჩვენი ინსტიტუტის საქმიანობას და ყურადღება გაამახვილა მიმდინარე და სამომავლო ამოცანებზე. მე პირადად შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ბატონი ავთანდილი იყო ენციკლოპედიური ცოდნის მქონე ადამიანი.

მას მერე დიდი დრო გავიდა, ბატონმა ავთანდილმა პარტიულ კარიერაში წარმატებებს მიაღწია და ბოლოს აღმოჩნდა, ჩემი აზრით, მისთვის ყველაზე შესაფერის თანამდებობაზე საქართველოს ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილედ და მთავარ რედაქტორად, სადაც, მისთვის დამახასიათებელი შრომისმოყვარეობითა და ნიჭიერებით, ფართო განათლებით, ღირსეული ავტორიტეტით, დღესაც მოღვაწეობს.

მე მქონდა ბედნიერება, ბატონ ავთანდილთან ერთად საქართველოს ენციკლოპედიაში მემუშავა მთელი ათი წელი (1996-2006 წ.წ.). ეს წლები ჩემი ხანგრძლივი (ნახევარ საუკუნეზე მეტი) მუშაობის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და სასიამოვნო პერიოდად მიმაჩნია, რაშიც, ცხადია, ბატონ ავთანდილს დიდი დამსახურება მიუძღვის, ისევე როგორც საერთოდ ენციკლოპედიის მთელი კოლექტივის წარმატებულ საქმიანობაში, რასაც ყველა მისი თანამშრომელი აღიარებს!

ერთხელ, მეგობრული საუბრისას, ბატონმა ავთანდილმა მითხრა: მე კომუნისტური სისტემის დროს დავხარჯე ტყუილების მთელი მარაგი, ამიტომ მას მერე ტყუილი არ მითქვამს და, იმედი მაქვს, მომავალშიც არ მომიწევსო. მაშინ ამ სიტყვებისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმინჭებია, მაგრამ მერე, როცა დავუფიქრდი ამ ნათქვამის შინაარსს, მივხვდი, თუ რამდენი გულისტკივილი, სიმართლის სიყვარული და კეთილშობილება იყო იმ “აღსარების“ შინაარსში ჩადებული. ჯერ-ერთი, იმ დროს სხვანაირად, სიმართლესთან ერთად სიცრუის, როგორც საქმიანობის ერთ-ერთი ატრიბუტის გარეშე, სერიოზულ წარმატებებზე ლაპარაკი შეუძლებელი თუ არა, უაღრესად ძნელი მაინც იყო. ამიტომ ბატონი ავთანდილისთანა შინაგანად წესიერი და მართალი ადამიანები საკმარისად თუ არა, მცირე რაოდენობით მაინც იყვნენ და არც

შეიძლებოდა არ ყოფილიყვნენ. მათთვის, გარემოებათა გამო, იძულებითი ტყუილის თქმა ზოგჯერ აუცილებელი იყო, ასე რომ ვთქვათ, თავისებური საშვი სიმართლის კარებში შესასვლელად, იმ სიმართლის სათქმელად, რომელიც გამოძრავებდა და შენს განწყობას, საგნებისა და მოვლენებისადმი შენს ნამდვილ დამოკიდებულებას გამოხატავდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენი მოწოდება და საქმიანობის მიზანი განუხორციელებელი და მიუღწეველი დარჩებოდა. ამდენად, ის "ტყუილი" იყო დიდი სულხან-საბასეული "სიბრძნე სიცრუისა". ამ "ტყუილების" სიბრძნე სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ კომუნისტი ხელმძღვანელებისთვის სასიამოვნო სიცრუის შემდეგ (იქნებ ეს ბევრ მათგანისთვისაც სავალდებულო სახადი იყო) შენი სიმართლე გეთქვა. განა ასე არ იქცეოდნენ მაშინდელი ყველაზე ღირსეული ადამიანები, ცნობილი მწერლები, სიტყვისა და ხელოვნების მოღვაწენი? ამ მხრივ მარტო გალაქტიონმა, მიხეილ ჯავახიშვილმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, კიტა ბუაჩიძემ, პოლიკარპე კაკაბაძემ ("ყვარყვარე თუთაბერი") გუგა ნახუცრიშვილმა ("ნაცარქექია", "კომბლე", ჭინჭრაქა"), ჭაბუა ამირეჯიბმა ("დათა თუთაშხია", "გორა მბორგალი") და სხვ., თავიანთი ალეგორიული, ზღაპრულ-მითოლოგიური ხასიათის ნაწარმოებთა მთავარი გმირების სიტყვითა და მოქმედებით შეიძლება მეტი თქვეს, ვიდრე ოფიციოზისთვის მისაღები (საინტერესო) რეალისტური ნაწარმოებებით, ან თუნდაც კრიტიკული პათოსის შემცველი პუბლიცისტური წერილებით. ასე რომ, ის "ტყუილები", ანუ სიმართლის მოციქულები, ჭეშმარიტებისკენ მიმავალი სიტყვიერი საშუალებები იყო. მეორე მხრივ, მე ბატონი ავთანდილის ნათქვამი - ჩემი "ტყუილების" მთელი მარაგი კომუნისტების დროს სულ დავხარჯე და მეტი არ დამრჩაო – ისე გავიგე, რომ უკვე არ არის ტყუილების თქმის საჭიროება, მით უმეტეს - იძულება, რაც, თავისთავად, ბევრის მთქმელია. მე ჩემს მხრივ დავუმატებდი: კაცმა, ძნელბედობის ჟამს, სიმართლე ტყუილის სამოსელში შეახვიოს, სიცრუით სიბრძნე იღაღადოს – ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ მეტი არა, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში სიმართლის მსახურება.

კიდევ ერთი ეპიზოდი ბატონ ავთანდილთან დაკავშირებით. როდესაც მზადდებოდა ენციკლოპედიის სპეციალური ტომი "თბილისი", ენციკლოპედიის განყოფილებათა გამგეებს დაგვევალა, მოგვემზადებინა მოზრდილი წერილები ისტორიულ ასპექტში თბილისის შესახებ ჩვენს სფეროებში. მე დამევალა ეკონომიკის დარგში. ბუნებრივია, როგორც ყველა, ისე მეც სერიოზულად მოვეკიდე დავალებას. სტატია მოცულობით გამოვიდა 50 ნაბეჭდ გვერდამდე. ბატონი ავთანდილი არა მარტო კითხულობდა და არედაქტირებდა, არამედ შემოქმედებითად მუშაობდა ყველა მასალაზე. ჩემს მიერ მომზადებული მასალა დამიბრუნა. გავოცდი, ისე ემუშავა მასზე. კიდევაც არსებითად შეემცირებინა და კიდევაც გაეკეთილშობებინა. მაშინ მივხვდი, თუ რამდენს მუშაობდა ბატონი ავთანდილი როგორც მთავარი რედაქტორი, თუ მთავარი რედაქტორის მოადგილე. თანაც, არავის არაფერს არ აყვედრიდა და არც არაფერს აგრძნობინებდა. აი, ასეთი ხელმძღვანელი იყო და არის ბატონი ავთანდილი.

მკითხველის ყურადღება მინდა მივაქციო ბატონი ავთანდილის კიდევ ერთ უნიკალურ თვისებას, რომელიც, ჩემი აზრით, წითელ ზოლად გასდევს მთელ მის მუშაობას ენციკლოპედიაში და, ალბათ, მთელს მის მოღვაწეობას. მუშაობის დროს იყო ძალიან მომთხოვნი და საკმაოდ მკაცრიც, შენიშვნების მიცემასაც არ ერიდებოდა, მაგრამ მისი "სიმკაცრეც" და მომთხოვნელობაც იმდენად ბუნებრივი, გულწრფელი და ხალასი იყო, რომ სწორედ მის ამ თვისებებში ჩანდა მზრუნველობა და სიყვარული როგორც საქმისადმი, ისე თითოეული თანამშრომლისადმი. ამიტომ, იმ იშვიათ შემთხვევაშიც, როცა თითქოს ბრაზდებოდა, არც ერთი თანამშრომელი ბატონი ავთანდილის მიმართ ერთი წუთითაც არ კარგავდა ღრმა პატივისცემას და სიყვარულს. პირიქით, უფრო მეტი კეთილმოსურნეობით განეწყობოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, რაღაც ჯადოსნური ჰქონდა და აქვს ბატონ ავთანდილს ადამიანებთან ურთიერთობაში. ეს, ალბათ, ბუნებით კეთილშობილი და ხალასი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის თვისებაა. ასეთი ადამიანები ნებისმიერ სისტემაში, ნებისმიერ სიტუაციაში ღირსეულ ადამიანებად რჩებიან და წარუშლელ, ნათელ კვალს ავლებენ (სტოვებენ) ყველგან, სადაც არ უნდა იმოღვაწეონ. სწორედ ასეთი მოღვაწეა ბატონი ავთანდილი და ამიტომ მომაგონდა ბრძენი სოკრატეს ნათქვამი, რომელიც ეპიგრაფად წავუმძღვარე დიდი ადამიანის შესახებ დაწერილ ამ პატარა წერილს.

სულითა და გულით, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მინდა მივულოცო ბატონ ავთანდილს საიუბილეო 75 წლისთავი, რომელსაც ის ღირსეულად შეხვდა და ვუსურვო ბედნიერება დიდებულ ოჯახში, შემდგომი წარმატებები შემოქმედებით მოღვაწეობაში, რომელსაც ბატონი ავთანდილი ამ ასაკშიც დიდი გატაცებითა და ენერგიის დაუზოგავად ეწევა.

გურამ ყუფუნია
სტუ-ს სრული პროფესორი